# თავისუფალი შრომის ზეიმი

„წითელი შაბათობისთვის" გულმოდგინე მზადებამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო: 17 აპრილს სამრეწველო საწარმოთა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციათა აბსოლუტურმა უმეტესობამ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას მიაღწია. მუშაობა მიმდინარეობდა შაბათობის შტაბების მიერ შედგენილი გეგმების სრული დაცვით.

კომუნისტურ შაბათობაში ჩვენი რესპუბლიკის 2.800 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. წინასწარი მონაცემებით დამზადდა 14,5 მილიონი მანეთის პროდუქცია და გამომუშავებული ხელფასიდან ხუთწლედის ფონდში 2.330 ათასი მანეთი გადაირიცხა.

დაზოგილი ელექტროენერგიით, საწვავით, ლითონით, ცემენტით და მრავალი სხვა სახეობის მასალებით 1.700 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი აღმავლობით შესრულდა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, დამკვრელური შრომა სუფევდა სარემონტო სახელოსნოებში და ფერმებში.

სამრეწველო საწარმოთა ასობით ბრიგადის, საამქროსა და უბნის კოლექტივებმა გადაწყვიტეს არ შეანელონ ლენინური შაბათობის დღის შრომითი ტემპი და ვადამდე შეასრულონ მიმდინარე წლის გეგმები. „წითელ შაბათობაზე" საქართველოს მშრომელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მჭიდროდ არიან დარაზმული კომუნისტური პარტიისა და მთავრობის გარშემო, მზად არიან წარმატებით გადაწყვიტონ ყველა ამოცანა.

შაბათობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი.

საქართველოს სპორტკომიტეტში

# მთავარი ოპერატიული შტაბი მოქმედებს!

გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის ფიზიკური კულტურის მასობრიობის შემდგომი ამაღლებისა და მშთ კომპლექსის ფართოდ დანერგვის რესპუბლიკური მთავარი ოპერატიული შტაბის მორიგი, მეშვიდე სხდომა

იხ. მე-2 გვ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 75
(7136)
20 1982 წ.
აპრილი.
სამშაბათი.
ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

გადავაქციოთ
თბილისი
მასობრივი
ფიზიკური
კულტურის
ქალაქად!

# შრომა და სპორტი: ახალი წარმატებებისაკენ

სულ უფრო სწრაფად იზრდება თბილისი. საქართველოს დედაქალაქს თითქმის ყოველთვიურად ემატება ახალი შენობები და ნაგებობები. ქალაქის ფონის ორგანულ ნაწილად იქცა სამშენებლო ამწეები, ჩვეულებრივი ამბავი გახდა მრავალრიცხოვანი ახალსახლობანი.

ყოველი მშენებლობა — იქნება ეს საცხოვრებელი სახლი, სკოლა, სპორტული მოედანი, საწარმო თუ კინოთეატრი — აღსავსეა სოციალური შინაარსით, ვინაიდან ყოველივე ეს შენდება მშრომელი კაცის საკეთილდღეოდ, საიმისოდ, რომ მან უფრო ადვილად და მოხერხებულად იცხოვროს, იმუშაოს და დაისვენოს

მეტროპოლიტენის ახალი ტრასები, მიწისქვეშა გადასასვლელები და საავტომობილო გზაგასაყარები, სატრანსპორტო გვირაბები კიდევ უფრო ლამაზსა და თანამედროვეს ხდიან რესპუბლიკის დედაქალაქს.

უკვე მომავალი წლის პირველ მაისს გაიხსნება სამოძრაოდ რუსთაველის მოედანი, რომლის რეკონსტრუქცია ახლა მიმდინარეობს და რომელიც ქალაქის ცენტრალური მოედანი, საყოველთაო-სახალხო ზეიმებისა და დღესასწაულების ადგილი გახდება. 150-მეტრიანი გვირაბი და სამ იარუსიანი ესტაკადა ერთი-სამად და მეტად შეამცირებს მოძრაობის ინტენსიურობას ამ გადატვირთულ უბანზე. „თბილქალაქპროექტის" ინსტიტუტის სპეციალისტებმა ორიგინალურად გადაწყვიტეს რთული საინჟინრო ამოცანები — მათ ერთსა და იმავე ფართობზე, სხვადასხვა დონეების გამოყენებით თავი მოუყარეს ბევრ, ძირითად სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტს.

მთლიანად დამთავრდა ავტოსაგზაო გვირაბის გაყვანა, ინტენსიურად მიმდინარეობს ესტაკადის მშენებლობა.

18 აპრილს მშენებლობაზე იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. იგი ესაუბრა მშენებლებს, დაინტერესდა სამუშაოთა მიმდინარეობით.

რესპუბლიკის დედაქალაქი სულ ახალ-ახალი სპორტული ნაგებობებით მდიდრდება. ქალაქში ინტენსიურად შენდება სპორტული მოედნები და დარბაზები, სხვა სპორტული ბაზები. დიღმის საცხოვრებელ მასივში მდებარე ერთ-ერთ ასეთ, მწვანეში ჩაფლულ ბაზას ამავე დღეს ეწვია ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

რამდენიმე წლის წინათ დინამოელმა ფეხბურთელებმა მშენებელთა კარგი საჩუქარი მიიღეს — ბაზა ძირეულად განახლდა. ახლა სპორტსმენების განკარგულებაშია თანამედროვე სამსართულიანი საძილე კომპლექსი. შარშან მეზობლად მდებარე საუცხოო სპორტულ ბაზაში ბინა დაიდო ამავე სპორტული საზოგადოების კალათბურთელთა გუნდმაც.

ამხ. ე. ა. შევარდნაძე გაეცნო ბაზის შემდგომი რეკონსტრუქციის გეგმებს, შეხვდა სპორტსაზოგადოება „დინამოს" ხელმძღვანელებს, ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელებსა და მოთამაშეებს.

„დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა ნ. ფ. ახალკაცმა ილაპარაკა გუნდის მზადებაზე საერთაშორისო მატჩებისათვის და სსრ კავშირის თასისა და ჩემპიონატის არანაკლებ პასუხსაგები შეჯიბრებებისათვის.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს მშრომელთა წინაშე მდგომი ყველა ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში თავიანთი მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ სპორტულმა ორგანიზაციებმაც. ჩვენი ფეხბურთელების, მოჭადრაკე ქალების, მოჭიდავეების გამარჯვებები არა მარტო ახარებს ათასობით ადამიანს, არამედ მათ გუნებაგანწყობილებაზეც ახდენს გავლენას.

ბოლო წლებში არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მთელი ქვეყნის სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ თბილისის დინამოელები, რომლებსაც შარშან, საბჭოთა საქართველოს 60 წლის თავის აღსანიშნავ ზეიმზე პატივი მიაგეს როგორც ევროპული თასის ტურნირის გამარჯვებულებს და თბილისის „დინამოს" გულშემატკივრები იმედს გამოთქვამენ, რომ ჩვენი ფეხბურთელებისათვის წლევანდელი გაზაფხულიც ასეთივე წარმატებული იქნება.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს ახლდნენ გ. ნ. ენუქიძე და თ. ნ. მენთეშაშვილი. (საქინფორმი).

# ყველანი — ველოსიპედზე!

**ჯანმრთელობის** გაკაჟების, სიმხნევის უებარი საშუალება — ფიზიკური კულტურა და სპორტი სულ უფრო ძალუმად იჭრება დედაქალაქის მკვიდრთა ყოველდღიურობაში.

სტარტი სტარტს მოსდევს, ღონისძიება — ღონისძიებას და არ გადის კვირადღე ისე, რომ რაიმე საინტერესო და სასარგებლო წამოწყება არ ვნახოთ.

ასე იყო გასულ კვირასაც: გაზეთ „თბილისისა" და თბილისის სპორტკომიტეტის ინიციატივით დედაქალაქის უძველეს რაიონში, რიყეში დილიდანვე თავი მოიყარეს ახალგაზრდებმა, ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურებმა, გაისმა საჭიდაოს ჰანგები და შეიკრა წრე.

იქვე, გვერდით, სიმძიმეების აწევაში გაჩაღდა ასპარეზობა. ამასობაში ველოსიპედებზე ამხედრებულმა 800-ზე მეტმა ჭაბუკმა, დედაქალაქის ყველა რაიონის წარმომადგენელმა შექმნა საკმაოდ დიდი კოლონა და სტარტისთვის იწყო მზადება.

ამ მასობრივი სააგიტაციო ველოგადარბენის დაწყებამდე საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვ. შუბლაძემ**, გაზეთ „თბილისის" რედაქტორმა **ო. იოხელიანმა** და თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **გ. ყირმელაშვილმა** სამახსოვრო ვიმპელები და საჩუქრები გადასცეს დედაქალაქის რაიონების წარმომადგენლებს, რომლებმაც აქტიურად შეუწყვეს ხელი ამ საშური საქმის ორგანიზაციას, დააჯილდოვეს გამარჯვებული ფალავნები და გოლიათები...

ტრანსპარანტებით მორთული ველოსიპედისტთა კოლონა დიდუბის ხიდისკენ და „დინამოს" სტადიონისკენ დაიძრა. თბილისელები, რომლებიც გზადაგზა თვალს ადევნებდნენ ამ ლამაზ სანახაობას, რწმუნდებოდნენ — ფიზიკური კულტურა და სპორტი მართლაც უნდა იქცეს ჩვენი ყოველდღიურობის ორგანულ ნაწილად!

**ზ. გალდავა.**

* * *

**სურათებზე:** ველოსიპედისტთა კოლონა სანაპიროზე; ქართული ჭიდაობა და მისი თანმხლები მეზურნეების დასტა; ასპარეზობენ სიმძიმის აწევაში.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# მთავარი ოპერატიული შტაბი მოქმედებს!

## ენთუზიასტები მხარდაჭერის გარეშე

**წალკის** რაიონის ახალგაზრდობას უყვარს ფიზიკური კულტურა და სპორტი, მოსახლეობა მართლაც დაინტერესებულია მისი ფართო განვითარებით. ამაზე თუნდაც ის კარგი წამოწყება მეტყველებს, რასაც ამ რამდენიმე წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი: სპორტის ენთუზიასტებმა მოსახლეობის მხარდაჭერით და უშუალო მონაწილეობით წამოიწყეს საკმაოდ კარგი სპორტული ბაზის მშენებლობა — გათხარა საძირკველი. წამოიმართა მომავალი სარბიელის ჩონჩხიც (იხ. ფოტო).



მაგრამ დღეისათვის ყოველივე იმას, რაც შექმნილია, დანგრევა და განადგურება ემუქრება: უკვე მესამე წელიწადია ათოვს და აწვიმს ნაგებობას, გამკითხავი კი, სამწუხაროდ, არავინ ჩანს...

ეს მაგალითი მოიყვანეს რესპუბლიკური მთავარი ოპერატიული შტაბის სხდომაზე, სადაც ღრმად და საფუძვლიანად გაანალიზდა წალკის რაიონის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილების ცხოვრებაში განუხრელად გატარებისთვის.

შტაბის სხდომაზე აღინიშნა ის პოზიტიური ძვრები, რაც ამ უკანასკნელ პერიოდში მოხდა რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში. პარტიის წალკის რაიკომმა რაიაღმასკომთან, კომკავშირის რაიკომთან და სპორტკომიტეტთან ერთად მიიღო ერთობლივი დადგენილება, რომელშიც დაისახა მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გეგმა. რაიონის სპორტკომიტეტი გარკვეულ მუშაობას ატარებს წვევამდელი ახალგაზრდობის ფიზიკურად მომზადებისთვის და ა. შ.

## ფიცი მწამს...

**ეს ყველაფერი** ასეა, მაგრამ თუ ღრმად შევისწავლით წალკის რაიონის ცალკეულ ფიზკულტურულ რგოლებს, სკოლების, საწარმოო დაწესებულებათა, საბჭოთა მეურნეობათა და კოლმეურნეობათა ფიზკულტურულ ცხოვრებას, აღმოჩნდება, რომ აქ ფიზკულტურის და სპორტის მასობრიობაზე, რეალურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაზე ლაპარაკი, სამწუხაროდ, არ შეიძლება.

ეს იმიტომ, რომ წალკის **რაიონში არ ჩატარებულა არც ერთი ფიზკულტურული მასობრივი დღესასწაული; რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვ. კარსლიევი თუმცა აცხადებს, რომ ახალგაზრდობა სისტემატურად აბარებს მშთ ნორმატივებს, მაგრამ ნათქვამს ვერც ერთი დოკუმენტით ვერ ამტკიცებს (!).**

შეჯიბრებებში მონაწილეთა განაცხადების შესწავლისას გამოირკვა, რომ მონაწილეთათვის ვიზა არ გაუცია... ექიმს, ხოლო თვით შეჯიბრებათა ოქმები ისე უხეიროდაა შედგენილი, რომ ბევრი რამის გარკვევა ჭირს.

რაიონის სპორტსკოლაში მწვრთნელებად მუშაობენ საშუალო სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლები, რომლებსაც ამგვარი „გაორებისთვის“ ნებართვა არ მიუღიათ არც ძირითადი სამუშაო ადგილიდან, არც სპორტკომიტეტიდან.

ამ სპორტსკოლაში განრიგი შედგენილია უყაირათოდ, აქ არც პერსპექტიული გეგმა გააჩნიათ, ხოლო მწვრთნელთა საბჭო იკრიბება შემთხვევიდან შემთხვევამდე... დაბოლოს, **არსებული მდგომარეობის შესწავლა გვარწმუნებს, რომ დღეისათვის წალკის რაიონში ფიზიკური კულტურა და სპორტი ჯერ კიდევ არ გამხდარა მშრომელთა ყოფა-ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.**

## უყურადღებოდ მიტოვებული ფილიალები

**წალკის** რაიონში არის თბილისის ფაბრიკა „ისანის“ და ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ფილიალები, სადაც ასობით ადამიანი მუშაობს. ბუნებრივია, რომ ფილიალებზე პირველ რიგში უნდა ზრუნავდნენ მთავარი ორგანიზაციები, ზრუნავდეს ადგილობრივი სპორტკომიტეტიც, მაგრამ ორმხრივი ყურადღების ნაცვლად, ისინი... **საერთოდ უყურადღებოდ დარჩნენ.** როგორც გამოირკვა და შტაბის სხდომაზე მთელი სიმწვავით ითქვა, ამ საწარმოებში **არ ტარდება არავითარი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, საერთოდ უგულებელყოფილია საწარმოო ტანვარჯიში — მშრომელები მოკლებულნი არიან ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს.**

შტაბის სხდომამ მკაცრად გააფრთხილა რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურნი, რომ დაუშვებელია საწარმოთა კოლექტივების მიმართ ასეთი გულგრილი დამოკიდებულება; წინადადება მისცა თბილისის სპორტკომიტეტს, რომ ღრმად შეისწავლოს ფაბრიკა „ისანის“ და ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სათაო კოლექტივების ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრება და თავისი კოლეგიის სხდომაზე განიხილოს ამ ფიზკულტურულ კოლექტივებში მასობრივი ფიზკულტურისა და მშთ კომპლექსის დანერგვა-განვითარების მდგომარეობა.

## ღია წერილი წალკის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. დ. ნ. საბაძეს

**გასულ** წელს სოფელ ავრალოს საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტის შტატზე სამუშაოდ სპორტკომიტეტთან შეთანხმების გარეშე მიღებული იქნა ზოოტექნიკოსი, რომელიც დღესაც აგრძელებს მუშაობას თავისი ძირითადი სპეციალობით. ამის შესახებ თქვენ მოგმართათ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. კარსლიადისმა და გთხოვათ, რომ მიგეღოთ სათანადო ზომები — სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი საშტატო ერთეული გამოყენებული ყოფილიყო დანიშნულების მიხედვით.

თქვენ მას დაეთანხმეთ და აღუთქვით, რომ უახლოეს ხანებში მიიღებდით ზომებს. მას შემდეგ კი გავიდა მთელი ოთხი თვე! ძნელი დასაჯერებელია, რომ მთელი 120 დღის მანძილზე თქვენ ერთხელაც არ მოგეცათ საშუალება გამოგენახათ რამდენიმე წუთი და გადაგეჭრათ ელემენტარული საკითხი, რომლის გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო სოფელ ავრალოს საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გამოცოცხლება, არამედ რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ აქტივში სამართლიანობისა და მხარდაჭერის პოზიციის გამაგრება, იმის ნათელი შეგნება, რომ ფიზკულტურა და სპორტიც „საჭირო“ საქმეა. იქნებ ბიუროკრატიზმი, რომელიც ფიზკულტურასა და სპორტთან არის დაკავშირებული, ბიუროკრატიზმად არ ითვლება თქვენთვის?

რესპუბლიკური ოპერატიული შტაბი მოელის, რომ ბოლოს და ბოლოს შეასრულებთ თქვენს დანაპირებს და სოფელ ავრალოს საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტის ადგილზე დანიშნულ ზოოტექნიკოსს თავის ადგილს მიუჩენთ, იქ კი შესაფერის სპეციალისტს მიავლენთ.

## ყურადღება — მოზარდი!

**მთავარმა** რესპუბლიკურმა ოპერატიულმა შტაბმა განიხილა დედაქალაქის 91-ე საბინაო საექსპლოატაციო კანტორის მიკრორაიონში მოსახლეობას შორის გაშლილი სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობა.

მიკრორაიონში არის 4 სპორტული ეზო, სადაც 4 და 11 აპრილს მასობრიობის ნიშნით ჩატარდა დიდი სპორტული დღესასწაულები. ნაყოფიერად მუშაობს პედაგოგ-ორგანიზატორი, ყველა ძნელადაღსაზრდელი მოზარდი ჩაბმულია ერთ-ერთ სპორტულ სექციაში, მაგრამ აღინიშნა ისიც, რომ ჯერ კიდევ მოუგვარებელია უფროსი ასაკის მოსახლეობასთან მუშაობის საკითხი.

საბინაო-საექსპლოატაციო კანტორა დაინტერესებულია და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება მოსახლეობას შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხს, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანს მიკრორაიონში შეკეთდა 3 სპორტული მოედანი.

ამავე დროს, მთავარმა რესპუბლიკურმა ოპერატიულმა შტაბმა აღნიშნა, რომ საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის მუშაკებმა **უფრო აქტიურად უნდა იმუშაონ მოზარდებთან, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ძნელადაღსაზრდელთა სპორტულ სექციებში მოზიდვის საქმეს.**

**ყოველი ეზო უნდა გახდეს ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი საცხოვრებელ ადგილსა და სკოლას, საცხოვრებელ ადგილსა და ოჯახს შორის, რათა მოზარდთა ყოველმხრივი აღზრდა წარიმართოს კომპლექსურად.**

ამ მიზნით ეზოებში სისტემატურად უნდა მუშაობდეს ორგანიზატორი, ადამიანი, რომელსაც მოეკითხებოდა გამაჯანსაღებელი მუშაობა ნორჩებთან, რათა უფრო თამამად გაუშვან ეზოში მშობლებმა თავიანთი ბავშვები, რომლებთანაც იგი წარმართავდა ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას.

ქალაქის სპორტკომიტეტს დაევალა, რომ 91-ე საბინაო საექსპლოატაციო კანტორის მაგალითზე, სათანადო დახმარებისა და ხელშეწყობის გზით, ქალაქში შექმნას რამდენიმე სპორტული ეზო, რომლებშიც საჩვენებელი გახდებოდა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაცია და სანიმუშო იქნებოდა სხვა ეზოებისთვის.

• • •

**მთავარმა** რესპუბლიკურმა შტაბმა მოისმინა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო კომიტეტის სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქციის უფროსი რედაქტორის **თ. კახიძის** ინფორმაცია მოსკოვის პროსპექტის დასახლებაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისა და სპორტული ბაზების მდგომარეობის შესახებ.

შტაბმა იმსჯელა ამ საკითხის შესახებ და შექმნა კომისია, რომელიც საქართველოს სპორტკომიტეტის შესაბამის სამმართველოსა და სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივთან“ ერთად შეისწავლის ადგილზე არსებულ მდგომარეობას და შემოწმების შედეგებს მოახსენებს შტაბის მორიგ სხდომას.

# რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე

## ჩემპიონები, რეკორდები...

**ცხინვალის** ტურისტული ბაზის „ოსეთის“ დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა 1962-64 წლებში დაბადებულ ძალოსნებს შორის. ფიცარნაგზე გამოვიდა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, მარნეულის და საჩხერის 50-მდე ჭაბუკი-ათლეტი.

როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდური პირველობისთვის ბრძოლა ძირითადად თბილისისა და მასპინძელთა გუნდებს შორის გაიმართა. პირველ დღეს დაწინაურდნენ სტუმრები. მეორე დღეს კი ოსმა სპორტსმენებმა იასპარეზეს უკეთ. დააგროვეს 1379 ქულა და საერთო ჯამში გაიმარჯვეს კიდეც. მათ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ გ. კოჩიევსა და საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს ი. გრიქუროვს. II ადგილზე გავიდნენ თბილისელები, მესამეზე — რუსთაველები.

რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: თბილისელები — ზ. ჯაფარიძე (52 კგ), შ. სარქისიანი (56), გ. გაბრიჩიძე (60), ს. დემირჭიანი (82), ა. ტასოევი (90), მ. ბანძელაძე (100), ცხინვალელები გ. კუდუხოვი (67,5), ა. მედოევი (110), რუსთაველი ს. სულეიმანოვი (75) და მარნეულელი რ. ძიმისტარიშვილი (ზემძიმე).

ტურნირზე ხუთი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა სსრ კავშირის ჭაბუკთა ორგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, სპორტის ოსტატმა ა. მედოევმა. მან პირველ ცდაზევე ატაცში 165,5 კგ აჩვენა, შემდეგ—175, ორჭიდის ჯამში კი—380. აკვრაში 222,5 კგ დაძლია, ხოლო ორჭიდში მეხუთე რეკორდი დაამყარა.

ატაცში ორ რესპუბლიკურ რეკორდს დაეუფლა კონკურსგარეშე მოასპარეზე, თბილისელი არმიელი ოსტატი ა. ასრიანი (67,5 კგ წონითი კატეგორია). მან ჯერ 130 კგ დაძლია, შემდეგ კი — 135.

**ბ. მელქოევი.**
**(„ლელოს“ კორ.).**

◆

## გორის ტატამზე

**გორის** ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის საჭიდაო დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ძიუდოისტთა პირადი პირველობა.

შეჯიბრების მიზანი იყო „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტება. მაგრამ, როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. ზაუტაშვილმა გვითხრა, მონაწილეთა უმრავლესობა აშკარად მოუმზადებელი გამოვიდა სარბიელზე. ჩანს, ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სათანადოდ არ ზრუნავენ პერსპექტიულ ძიუდოისტთა გამოვლენისთვის და მათი ოსტატობის სრულყოფისთვის.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ი. იმერლიშვილმა, ი. ბოლოთაშვილმა, გ. თენაძემ, გ. ტიელიძემ, გ. ხუბულურმა, ქ. ხუბულურმა, ე. ბერუაშვილმა (ყველა — გორის პედაგოგიური ინსტიტუტი). აბსოლუტურ კატეგორიაში უძლიერესი იყო ქ. ხუბულური.

**ი. თევდორაშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**

✦

## მსუბუქი ავტომანქანებით

**საქართველოს** ავტომობილისტებმა გახსნეს წლევანდელი სპორტული სეზონი — რუსთავში, ლოსაფის წრიულ ტრასაზე გამოვიდნენ სხვადასხვა ფორმულის „ჟიგულისა“ და „ვოლგის“ კლასის მანქანები. თბილისის ტაქსომოტორების პარკების, ლოსაფის ავტოსკოლის, სპორტტექნიკური კლუბების „სინათლისა“ და „შევარდენის“ გარდა აქ ასპარეზობდნენ კურსკის სპორტკლუბ „ვიქტორიასა“ და მინსკის რესპუბლიკური სპორტტექნიკური კლუბის წარმომადგენლები.

პროგრამაში იყო რბოლა 20 წრეზე (90 კმ). „ვოლგის“ კლასში 15 ეკიპაჟი გამოვიდა. სამივე საპრიზო ადგილი „სინათლეს“ წევრებმა გ. ატუაშვილმა, ა. დემეტრაშვილმა და ტ. ჯიქიამ დაისაკუთრეს.

VII კლასის („ჟიგულები“) მანქანებით ასპარეზობა ცნობილი ოსტატის მ. ლოგინოვის („სინათლე“) გამარჯვებით დამთავრდა. მეორე პრიზიორია ზ. გოგინაშვილი („შევარდენი“), III ადგილზე გავიდა რ. ცირეკიძე (თბილისის №1 ავტოსკოლა). VIII კლასის მანქანით კი ყველას აჯობა რესპუბლიკის სპორტტექნიკური კლუბის გუნდის წევრმა ო. მამრიკიშვილმა. მან უკან ჩამოიტოვა კურსკელი ვ. მაკარენკო და მესამე პრიზიორი თ. აბრამოვი (თბილისის №1 ავტოსკოლა).

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი ქალაქის სატრანსპორტო გაერთიანების სპორტკლუბ „სინათლის“ ნაკრებს ხვდა წილად. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ რესპუბლიკური სპორტტექნიკური კლუბის I კოლექტივი და თბილისის №1 ავტოსკოლის ნაკრები.

**ო. კიკნაველიძე,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

• • •

**სურათზე:** შეჯიბრების ტრასაზე „ჟიგულები“ არიან.

რ. ქვარცხავას ფოტო.



# პირველი წარმატება

**ქუთაისი.** ცენტრალური სტადიონი. 18 აპრილი.

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:0 (1:0).**

**„ტორპედო“:** ქანთარია, გვაძაბია, ჰილაია, მელიქია, გ. მაჩაიძე, კორღალიძე, მ. მაჩაიძე, ქვირია, მეგრელაძე, დარჯანია, ბურკაძე (ქორიძე).

**„ნეფთჩი“:** რახულოვი, ლარიბოვი, აბდულაევი, უზბეკოვი, ნამაზოვი (ხადიხოვი), აზიმოვი, ისმაილოვი (ხუდიევი), ნურმამედოვი, შიხლაროვი, ყურბანოვი, ჯავადოვი.

**მსაჯი ვ. ბახკაკოვი (მოსკოვი).**

**დუბლიორები — 0:0.**

უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის პირველ ტურებში ქუთაისელმა ფეხბურთელებმა საგრძნობი დანაკლისი განიცადეს და მისი ანაზღაურება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სწორედ ბაქოს „ნეფთჩისთან“ შეხვედრაში. მართალია, ქუთაისში ამ დღეს გადაუღებლად წვიმდა, აქტიური, შემტევი თამაში ჭირდა, მაგრამ ტორპედოელებს ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ დასახული ამოცანის შესასრულებლად და კოლექტივმაც არ დაზოგა ძალები გამარჯვების მისაღწევად. უნდა აღინიშნოს, რომ ტაქტიკური თვალსაზრისით გუნდი ამჯერად უკეთ მოქმედებდა, ბურთი ნაკლებად ყოვნდებოდა შუა მინდორში, ნახევარმცველები გრძელი გადაცემებით ამარაგებდნენ თავდამსხმელებს, რომლებიც, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, ხშირად გადიოდნენ ხელსაყრელ პოზიციაში. ერთხანს ინიციატივა „ნეფთჩის“ ეპყრა, დაძაბული მომენტები ჰქონდათ მცველებს და მეკარე ქანთარიას, მაგრამ ისინი უშეცდომოდ მოქმედებდნენ. საერთოდ კი, მატჩი უდავოდ, ქუთაისელთა შესამჩნევი აქტიურობით აღინიშნა.

გოლი, რომელმაც „ტორპედოს“ მოუტანა ესოდენ საჭირო გამარჯვება, დარჯანიამ გაიტანა პირველივე წუთზე: მან მარჯვენა ფლანგიდან მიიღო მ. მაჩაიძის გადაცემა, დაუყოვნებლივ ისარგებლა იმით, რომ წამით თავისუფალი აღმოჩნდა მეტოქის მცველთა „მეურვეობისგან“ და ახლო მანძილიდან გაგზავნა ბურთი კარში — 1:0.

ამ წარუმატებლობის შემდეგ ბაქოელები კარგა ხანს შეტევაზე იმყოფებოდნენ, მასპინძლები მხოლოდ ეპიზოდური კონტრშეტევებით კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ შემდგომში თამაში გათანაბრდა, ტაიმის ბოლოს კი უპირატესობა კვლავ ტორპედოელებს ჰქონდათ. შესვენების შემდეგ თამაშის ტემპმა საგრძნობლად იმატა, ორივე მხარე მთელი შესაძლებლობით იბრძოდა და მეკარეებს ქანთარიასა და რასულოვს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდათ.

ქუთაისის „ტორპედომ“ საუკეთესოდ ჩაატარა მატჩი და დამსახურებულად მოიპოვა პირველი გამარჯვება.

**შ. ნიჟარაძე.**

**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

## უმაღლესი ლიგა

### სხვა მატჩები

18 აპრილს გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების სხვა შეხვედრებიც:

**„ტორპედო“ — „არარატი“** 1:0.

**„ყუბანი“ — „დინამო“ მ.** 4:1.

**„მეტალისტი“ — „ქაირათი“** 0:1.

**„დნეპრი“ — „ფახთაქორი“** 0:0.

**„ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“** 0:0.

ტურის სხვა 2 მატჩი ცსკა — „დინამო“ (თბილისი) და „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი) გადადებულია იმის გამო, რომ კიეველი და თბილისელი ფეხბურთელები სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ არგენტინის ქალაქებში.

### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 20 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი“ | 5 | 3 | 2 | 0 | 5—2 | 8 |
| „ყუბანი“ | 5 | 3 | 1 | 1 | 11—6 | 7 |
| „ქაირათი“ | 5 | 2 | 2 | 1 | 6—5 | 6 |
| „დინამო“ კ. | 3 | 2 | 1 | 0 | 7—1 | 5 |
| „სპარტაკი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 4—2 | 5 |
| „ნეფთჩი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 5—4 | 5 |
| „დინამო“ მნ. | 4 | 2 | 1 | 1 | 4—5 | 5 |
| „არარატი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 4—6 | 5 |
| „დინამო“ თბ. | 3 | 2 | 0 | 1 | 6—4 | 4 |
| ცსკა | 4 | 2 | 0 | 2 | 3—3 | 4 |
| „ზენიტი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 2—2 | 4 |
| „ტორპედო“ ქ. | 5 | 1 | 2 | 2 | 6—7 | 4 |
| „ტორპედო“ მ. | 5 | 1 | 2 | 2 | 3—5 | 4 |
| „მეტალისტი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 3—4 | 3 |
| „დნეპრი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 3—6 | 3 |
| „დინამო“ მ. | 5 | 1 | 0 | 4 | 3—9 | 2 |
| „შახტიორი“ | 4 | 0 | 2 | 2 | 3—5 | 2 |
| „ჩერნომორეცი“ | 4 | 0 | 2 | 2 | 0—2 | 2 |

# ნაკრების საწვრთნელი მატჩი

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრებმა ბუენოს-აირესში არგენტინის ნაკრებთან ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ (1:1) ამხანაგური თამაში გამართა ქ. ოლავარიაში, ადგილობრივ „ლომა ნეგრასთან“. გაიმარჯვეს არგენტინელებმა — 1:0 (0:0).

**17 აპრილს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების III ტურის კალენდარული მატჩები.

პირველ 2 ტურში ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე 3 ქულა დაკარგეს 4 შესაძლებლიდან და მომდევნო ტურში კიევში შეხვდნენ ადგილობრივ არმიელებს. „გურიამ“ ამჯერად საუკეთესოდ ჩაატარა მატჩი და დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 1:0.

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (კოსტრომა) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 1:1, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ზვეზდა“ (ჯიზაკი) 3:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „პამირი“ (დუშანბე) 0:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 1:0, ასკ (ოდესა) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0, ასკ (ხაბაროვსკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიროვი) 0:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 2:1, ასკ-„კარპატი“ (ლვოვი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 2:2.

## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 20 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ რ. | 3 | 2 | 0 | 1 | 5—3 | 4 |
| „შინიკი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 5—4 | 4 |
| „ტავრია“ | 3 | 2 | 0 | 1 | 4—3 | 4 |
| „ლოკომოტივი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 2—1 | 4 |
| „ნისტრუ“ | 3 | 1 | 2 | 0 | 2—1 | 4 |
| „დინამო“ | 3 | 1 | 2 | 0 | 2—1 | 4 |
| „ისკრა“ | 3 | 1 | 2 | 0 | 2—1 | 4 |
| „პამირი“ | 2 | 1 | 1 | 0 | 3—0 | 3 |
| ასკ-„კარპ.“ | 3 | 1 | 1 | 1 | 5—3 | 3 |
| „კოლოსი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 5—3 | 3 |
| „როტორი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 4—3 | 3 |
| „გურია“ | 3 | 1 | 1 | 1 | 2—2 | 3 |
| „ჟალგირისი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 2—2 | 3 |
| ასკ ხ. | 3 | 1 | 1 | 1 | 1—2 | 3 |
| „დაუგავა“ | 3 | 0 | 3 | 0 | 2—2 | 3 |
| „მეტალურგი“ | 3 | 0 | 3 | 0 | 0—0 | 3 |
| „ზარია“ | 3 | 1 | 0 | 2 | 2—3 | 2 |
| „ფაკელი“ | 3 | 0 | 2 | 1 | 2—3 | 2 |
| ასკ ოდ. | 3 | 0 | 2 | 1 | 2—4 | 2 |
| „სპარტაკი“ | 3 | 0 | 2 | 1 | 1—4 | 2 |
| ასკ კ. | 3 | 0 | 1 | 2 | 3—5 | 1 |
| „ზვეზდა“ | 2 | 0 | 0 | 2 | 0—6 | 0 |

# ლიეჟს გაემგზავრნენ

**ბელგიის** „სტანდარდთან“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩის ჩასატარებლად გუშინ ლიეჟს გაემგზავრა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი. გუნდის შემადგენლობაში არიან მწვრთნელები ნ. ახალკაცი, კ. ასათიანი, ს. კუტივაძე, მოთამაშეები — ო. გაბელია, ქ. მჭედლიძე, შ. ხინჩაგაშვილი, დ. მუჯირი, გ. თავაძე, ზ. სვანაძე, ნ. კაკილ[illegible]ლებაძე, გ. ცაავა, მ. მესხი. ტრავმის გამო ბელგიაში ვერ გაფრინდა ვ. გუცაევი.

თბილისის „დინამოს“ სხვა მოთამაშეები, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იმყოფებოდნენ არგენტინაში, უშუალოდ ლიეჟში შეუერთდებიან თავიანთ გუნდს (ნ. ხიზანიშვილი, ა. ჩივაძე, თ. სულაქველიძე, ვ. დარასელია, დ. ყიფიანი, რ. შენგელია).

# „სტანდარდის“ ამბები

**თბილისის** „დინამოს“ ფეხბურთელთა მეტოქემ ევროპული საკლუბო თასის გათამაშებაში — ლიეჟის „სტანდარდმა“ ბელგიის ჩემპიონატის მორიგ მატჩში მარცხი განიცადა „ვარეგემთან“ შეხვედრაში — 0:1. მიუხედავად ამისა „სტანდარდი“ კვლავინდებურად ლიდერობს ეროვნულ ჩემპიონატს — 42 ქულა 32 მატჩის შემდეგ.

## II ლიგა

**17 აპრილს** გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა II ტურის შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ რესპუბლიკაში ჩატარებული მატჩების შესახებ:

**„დინამო“ (სოხუმი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი)**

**1:0 (0:0)**

აბოვიანის „კოტაიკი“ ბოლო წლებში ყველაზე ძლიერად თამაშობს. ამიტომ მისი გამოსვლა სოხუმში დიდ ინტერესს იწვევდა ფეხბურთის მოყვარულთა შორის. თამაში თავიდანვე დაძაბული ბრძოლით აღინიშნა, დინამოელებმა ყველაფერი გააკეთეს გამარჯვების მისაღწევად და სავსებით დამსახურებულად აიღეს მეტად საჭირო 2 ქულა. მართალია, გამარჯვება იოლი არ იყო, დინამოელთა დაცვას და განსაკუთრებით მეკარე ბენიძეს დიდი სამუშაო დააწვათ, მაგრამ კოლექტივმა კარგად გაართვა თავი სიძნელეებს და გაიმარჯვა კიდეც.

სახიფათო ვითარებანი ხშირად იქმნებოდა ორივე კართან. სოხუმელებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობანი და ვერ გამოიყენეს, ამას გარდა, კარგად ითამაშა „კოტაიკის“ მეკარემ თათევოსიანმა.

შესვენების შემდეგ დინამოელთა უპირატესობა კიდევ უფრო შესამჩნევი შეიქმნა. მათ მეტოქე აიძულეს მხოლოდ დაცვაზე ეზრუნა და 85-ე წუთზე ნანბამ ძლიერი, ზუსტი დარტყმით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

„დინამომ“ ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბენიძე, კვეკვესკირი, გუბარი, ხუბულური, მამფორია, ხომტარია, ლოგუა, მალანია, კობახია, ნანბა, ქანთარია.

**ა. სირაძე.**

**„დინამო“ (ბათუმი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი)**

**1:0 (0:0)**

ბათუმელებს მთელი ტაიმის მანძილზე ხელთ ეპყრათ უპირატესობა, სტუმართა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა (გურული, გორგილაძე, ესაკია), მაგრამ 45 წუთმა განვლო ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა.

51-ე წუთზე „ყარაბახის“ მეკარე პეტროსიანმა მოიგერია გურულის ძლიერი დარტყმა, ბურთს დაეუფლა გორგილაძე, აქ კი იგი აკრძალული ილეთით წააქციეს სტეფანაკერტელთა მცველებმა. პენალტი ზუსტად გამოიყენა თვით გორგილაძემ — 1:0.

დარჩენილ დროში ბათუმელებს ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ გუნდი დასჯერდა მინიმალურ ანგარიშს.

საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ გ. გურულს („დინამო“) და ბ. ბაბაიანს („ყარაბახი“).

**ო. მურვანიძე.**

ტურის სხვა შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1, „ოლიმპია“ (ერევანი) — „დილა“ (გორი) 1:1, „მეშახტე“ (ტყიბული)—„არაზი“ (ნახიჩევანი) 3:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 2:0.

### 18 მაისს, ბულგარელებთან...

მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისის პროგრამით ალჟირის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელობამ 13 მაისს თავის მინდორზე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი დანიშნა ბულგარეთის ნაკრებთან.

### არასახარბიელო რეკორდი

შესაძლოა, რომ ინგლისის ოთხივე ლიგაში მონაწილე 92 გუნდის ფეხბურთელებმა „გააუმჯობესონ“ მინდვრიდან გაძევებათა ადრინდელი რეკორდი: ამ სეზონში მსაჯებმა 103 ფეხბურთელს დაატოვებინეს მინდორი. ამ მხრივ ყველაზე „უხვმოსავლიანი“ იყო 1979-80 წლების სეზონი, როცა 111 ფეხბურთელი გააძევეს.

### ახალი სკანდალი

იტალიის საფეხბურთო წრეებში სკანდალებს ბოლო არ უჩანს. „რომას“ პრეზიდენტმა ა. სბარდელამ სადისციპლინო კომისიას წარუდგინა სამი ფეხბურთელი — პულიჩი, სპინოზი და ვიოლა, რომლებსაც ბრალად ედებათ წინასწარი გარიგება თებერვალში გამართულ ერთ-ერთ წაგებულ მატჩში.

# ფინალისტები ემზადებიან

**ფეხბურთში** მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები — უნგრეთისა და პერუს გუნდები ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს ბუდაპეშტში.

თამაში მიმდინარეობდა სტუმართა უპირატესობით. მართალია, ანგარიში გახსნა უნგრელთა გუნდის დებიუტანტმა სენტეშმა, მაგრამ პერუელთა საუკეთესო ფეხბურთელმა უბილემ მეორე ტაიმში გაათანაბრა იგი, ხოლო მატჩის დასასრულს მანვე წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1.

მატჩს „ნეპშტადიონზე“ 25 ათასი მაყურებელი დაესწრო. უნგრეთის პრესა აღნიშნავს, რომ მათ გუნდს დიდად ეტყობოდა ნილაშისა და ტერეჩიკის არყოფნა.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# იმედს არავინ კარგავს

**საზღვარგარეთის** სპორტული პრესა დაწვრილებით კომენტარს უკეთებს ფეხბურთში ევროპული თასების ნახევარფინალურ მატჩებს და საპასუხო შეხვედრათა პერსპექტივებს. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ დარჩენილი ექვსივე წყვილიდან არც ერთ გუნდს არ დაუყრია ფარ-ხმალი, თუმცა ზოგიერთი მათგანი საპასუხო შეხვედრის წინ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

სამივე ტურნირის ყველაზე დიდ მოულოდნელობად იუგოსლავიის გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ (ზაგრები) თბილისის მატჩი მიაჩნია და აღნიშნავს, რომ მას 6-ვე შეხვედრიდან ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა: „ეს შედეგი დიდი, ნამდვილად ყველაზე დიდი მოულოდნელობაა ოთხშაბათს გათამაშებულ მატჩებს შორის“.

მიმომხილველი ა. შკრიჩი წერს: „მაგრამ არავინ ამბობს, რომ „სტანდარდს“ უკვე განაღდებული აქვს ფინალის საგზური. შენგელია, გუცაევი, ყიფიანი და მათი პარტნიორები, ეტყობა, ასე არ ფიქრობენ. ისინი შეეცდებიან ლიეჟში, პრიუდომის კარს მძაფრად შეუტევენ“. მიმომხილველი აღნიშნავს, რომ „სტანდარდი“ ნაადრევად ზეიმობს.

იგივე გაზეთი მიიჩნევს, რომ მეორე ფინალისტი, ეტყობა, „ბარსელონა“ იქნება და აღნიშნავს ლონდონელ გულშემატკივართა გამომწვევ საქციელს. მათ ძალიან გაუძნელეს არბიტრ მულდერს (ჰოლანდია) მსაჯობა. „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ფრე საკუთარ მინდორზე გუნდს მძიმე მდგომარეობას უქმნის.

რა თქმა უნდა, ღიადაა დარჩენილი საბოლოო გამარჯვებულის საკითხი სოფიის ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამესა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ შორის. (როგორც ცნობილია, ბულგარელებმა საკუთარ მინდორზე მოიგეს ანგარიშით 4:3). აი, რას წერს გაზეთი „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ (გფრ): „ასეთ ვატერლოოს და თანაც პირველ 20 წუთში, დასავლეთ გერმანიის ჩემპიონი არ ელოდა. მხოლოდ რკინისებურმა ნერვებმა იხსნა „ბაიერნი“ ტოტალური კატასტროფისაგან“.

გერმანელთა მწვრთნელი პ. ჩერნაი-საბოლოო ანგარიშით კმაყოფილია, თუმცა თამაშით არა. მისი აზრით, გუნდმა უკვე დაძლია დიდი გასაჭირი და ახლა ფინალში გასვლის გარკვეული შესაძლებლობა აქვს.

ბირმინგემში „ასტონ ვილასთან“ დამარცხების (0:1) მიუხედავად ბრიუსელის „ანდერლეხტს“ ფინალში გასვლის შანსი მაინც აქვს. მეორე შეხვედრაში ბელგიელთა „კოზირად“ უნდა იქცეს ლოზანო, რომელიც ავადმყოფობის შემდეგ ჩვეული ძალით თამაშობს.

სპორტული პრესა ყურადღებას ამახვილებს შვეციის „გეტებორგის“ დიდ წარმატებაზე უეფა-ს თასზე. ფრე (1:1) მეტოქის მინდორზე „კაიზერსლაუტერნთან“ გუნდს ჩინებულ პერსპექტივებს უქმნის. „სპორტსკე ნოვოსტი“ ირონიულად იხსენებს „კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელის უ. ფელდკამპის განცხადებას თამაშის წინ: „სულ ცოტა, ორი გოლის უპირატესობით მაინც გავიმარჯვებთ“. და დასძენს, რომ ექსპერტები, უბრალოდ, კარგად არ იცნობენ „გეტებორგს“, რომელსაც თავდასხმის შესანიშნავი სამეული ჰყავს (ტომი ჰოლმგრენი, ნილსონი და კორნელიუსონი). გუნდს წვრთნის 34 წლის ერიქსონი, საუკეთესო სპეციალისტი.

ამავე თასზე „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ ანგარიშით 1:2 წააგო იუგოსლავიის „რადნიჩკისთან“, მაგრამ მიმომხილველთა აზრით საბოლოო გამარჯვება მაინც მას უნდა დარჩეს.

**ზ. გავრეკელი.**

### სსრ კავშირის 60 წლის თავს მიეძღვნა

□ □

# სახალისო, მართლაც სანახაობრივი...

**ამბობენ,** რომ ჭადრაკის თამაში არ არის სანახაობითი სპორტის სახეობა. ერთი პარტია ხუთ საათს გრძელდება და მის მაყურებელს დიდი მოთმინება მოეთხოვება, ბოლომდე რომ ადევნოს თვალი თამაშს. მაგრამ ის, ვინც კვირას თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაესწრო დიდოსტატთა და ოსტატთა ტურნირს ჭადრაკის ჩქაროსნულ თამაშში, ალბათ სხვა აზრისა იქნება.

ეს ტურნირი, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს მიეძღვნა, ღვაწლმოსილი დიდოსტატის **დ. ბრონშტეინის** (მოსკოვი) წინადადებით გამართეს „ლელოს“ რედაქციამ და ჭადრაკის სასახლის დირექციამ. საასპარეზოდ მოწვეულთაგან შეჯიბრებაში სამმა დიდოსტატმა და ხუთმა ოსტატმა მიიღო მონაწილეობა. თითოეულ პარტიაში მეტოქეებს ნახევარი საათი მიეცათ (ესე იგი თითოეულს — 15 წუთი). შეჯიბრება იმავე დღეს დამთავრდა, შვიდმა ტურმა სულ ოთხ საათს გასტანა.

პაექრობა საინტერესოდ წარიმართა. თხუთმეტი წუთი საკმაო დრო აღმოჩნდა იმისათვის, რომ მოჭადრაკეებს თამაშისთვის ალღო აეღოთ და კონკრეტულ პოზიციაში ოპტიმალურად სწორი გადაწყვეტილება მიეღოთ. რა თქმა უნდა, ჩქაროსნულ თამაშში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოჭადრაკის გამოცდილებას, ინტუიციასა და სწრაფი აზროვნების უნარს.

თითქმის ყველა პარტიაში მონაწილენი მოგებაზე თამაშობდნენ. თამამად მიდიოდნენ გართულებაზე, კომბინაციაზე, მაგრამ პარტიის ბოლოს მაინც ელვისებური თამაში უხდებოდათ. „ეს იმით იყო გამოწვეული, რომ თხუთმეტწუთიანი პარტიების თამაშის გამოცდილება არ გაგვაჩნდა, პრობლემები კი ბევრი იყო გადასაწყვეტი“. — გვითხრა **ნ. გურიელმა.**

ერთი სიტყვით, შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ჭადრაკის ჩქაროსნული თამაშის ტურნირები ყოველმხრივ საინტერესო წამოწყებაა. იგი ორი წლის წინათ შემოიღეს მოსკოვში.

ტურნირი ასე დამთავრდა: I. ზ. აზმაიფარაშვილი — 5 ქულა. II-III. დ. ბრონშტეინი, გ. ზაიჩიკი — 4,5-4,5, IV-VI. ნ. იოსელიანი, ე. უბილავა, ი. ჩიქოვანი — 3,5-3,5, VII. ზ. მიქაძე — 2, VIII. ნ. გურიელი — 1,5.

გამარჯვებულ მოჭადრაკეებს გადაეცათ სამახსოვრო ჯილდოები.

— ეს იყო სახალისო, ნამდვილად სანახაობრივი ტურნირი, ამიტომაც მას ბევრი თბილისელი დაესწრო. დავრწმუნდი, რომ ასეთ შეჯიბრებას ჩვენშიც „მწვანე ქუჩა“ უნდა მიეცეს, — გვითხრა თბილისის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა **ა. კუჭავამ.**

**თ. გიორგაძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.**

* * *

**სურათებზე:** მარცხნივ — ნანა იოსელიანი; შუაში ზემოთ — ნ. გურიელი — დ. ბრონშტეინის შეხვედრა, ქვემოთ — ჭადრაკის სასახლის დირექტორი ლ. წეროძე ჯილდოს გადასცემს ზ. აზმაიფარაშვილს; გენადი ზაიჩიკი.

ხ. ვართანესოვის ფოტოები.



## საერთაშორისო ტურნირებში

◆

## დორტმუნდი

აქ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 12 დიდოსტატი მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) — 8,5 ქულა, II — ო. რომანიშინმა — 8, III — ლ. ფსახისმა (ორივე — სსრ კავშირი) — 7,5.

## სარაევო

ტურნირში „ბოსნია-82“ ჩინებულად თამაშობდა დიდოსტატი ა. ბელიავსკი (სსრ კავშირი), რომელმაც დაუმარცხებლად განვლო იგი, — 10 პარტია მოიგო, ხუთი ყაიმით დაამთავრა და 12,5 ქულით I ადგილი დაიკავა. II ადგილზეა დიდოსტატი ვ. კოვაჩევიჩი — 12, III — პ. ნიკოლიჩი (ორივე — იუგოსლავია) — 10,5.

საბჭოთა დიდოსტატი ს. მაკარიჩევი 8,5 ქულით VII ადგილზე გავიდა.

## ლონდონი

აქ მიმდინარე დიდოსტატთა შეჯიბრებაში III ტურის პარტიები შედგა. ზედიზედ მესამე ყაიმით დაკმაყოფილდა მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი, ამჯერად ინგლისელ დიდოსტატ ჯ. სპილმენთან. ბ. სპასკი (სსრ კავშირი) დამარცხდა ლ. პორტიშთან (უნგრეთი), ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — უ. ანდერსონთან (შვეცია).

ა. კარპოვმა ჟურნალისტებთან შეხვედრაში განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანია ახალი სადებიუტო გაგრძელებების შემოწმება, სპორტული ფორმის შენარჩუნება.

მსოფლიო ჩემპიონი მეოთხე ტურის შეხვედრაშიც (შვედ უ. ანდერსონთან) ყაიმს დასჯერდა. ლ. პორტიშმა (უნგრეთი) მოუგო ინგლისელ ნ. შორტს, ამერიკელმა ი. სეირავანმა — თანამემამულე ლ. კრისტიანსენს. ჯ. ნან — ჯ. სპილმენის, ე. გელერ — ი. ტიმანის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ე. მაილს — ბ. სპასკისა და ლ. ლიუბოევიჩ — ჯ. მესტელის შეხვედრები გადაიდო.

ოთხი ტურის შემდეგ პორტიშს 3,5 ქულა აქვს.

## მოგება, ნაგება...

**ერევანი, 19 აპრილი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).** საერთაშორისო ტურნირში — „ერევანი-82“ გათამაშდა XII ტური და დამთავრდა გადადებული პარტიები.

XII ტურში ზ. სტურუა დამარცხდა მ. ტალთან (რიგა). ყაიმზე შეთანხმდნენ კ. გეორგიევი (ბულგარეთი) — ბ. აბრამოვიჩი (იუგოსლავია), ლ. ესპიგი (გდრ) — ე. ვლადიმიროვი (ალმა-ათა), ე. მნაცაკანიანი — ს. ლპუტიანი (ორივე — ერევანი), კ. გრიგორიანი (მოსკოვი) — კ. რობაჩი (ავსტრია) და ვ. ბაგიროვი (რიგა) — ვ. სავონი (ხარკოვი). ორი პარტია გადაიდო.

გადადებული პარტიები ასე დამთავრდა: სტურუამ მოუგო ი. პრიბილს (ჩეხოსლოვაკია), ლ. ეოლიანმა (ერევანი) — მნაცაკანიანს და აბრამოვიჩმა — ა. პეტროსიანს (ერევანი).

12 ტურის შემდეგ ლიდერობენ მ. ტალი—8 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ე. ვლადიმიროვი — 7,5, ზ. სტურუა, ვ. ბაგიროვი — 7-7.

**ვ. აკოფიანი,**
**სპორტის ოსტატი.**

### მათი ზნე-ჩვეულებანი

## ოლიმპიადა-84

## ფასები და სპეკულანტები

**სან-ფრანცისკო.** 1984 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა გარი უშერმა სერიოზული განგაში ატეხა ლოს-ანჯელესის თამაშების დროს ბილეთებით მოსალოდნელი სპეკულაციის შესახებ.

როგორც გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ იუწყება, უშერმა განაცხადა, რომ ლოს-ანჯელესის ხელისუფლებმა სერიოზულად უნდა გადასინჯონ საკითხი სპეციალური კანონმდებლობის მიღების შესახებ, რომელიც მაყურებლებსა და ოლიმპიადის სტუმრებს დაიცავს „თავის ქალის ამხდელებისაგან“ (აშშ-ში ასე უწოდებენ ბილეთებით მოვაჭრეებს).

ოლიმპიური ბილეთების ფასები ისედაც ძალზე მაღალია. „ლოს-ანჯელეს ტაიმსის“ მონაცემებით, იგი მერყეობს 12-დან 18 დოლარამდე. (საკდესი).

## რამ მოუპოვა პოპულარობა?

**ბონი.** რატომაა აშშ-ში პოპულარული ამერიკული ფეხბურთი? იმიტომ, რომ იგი განასახიერებს უხეშობას და ძალადობას, რითაც დაავადებულია ამერიკული საზოგადოება. ასე თვლის დასავლეთგერმანული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოფიციალური ყოველკვირეული ჟურნალი „ფორვერტსი“.

ჟურნალის აზრით, იგრეთ წოდებული „ფეხბურთი“ მოწოდებულია ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში ხელისუფალთა უუნარობისგან ამერიკელთა ყურადღება „საკუთარ თავზე“ გადაიტანოს.

ამ თამაშის მთავარი დამახასიათებელია უხეშობა. ყველაზე უხეში მოთამაშეები აქ აშშ-ის ცნობილ მოღვაწეებზე პოპულარული არიან — წერს „ფორვერტსი“.

უხეშობისა და ძალადობის გარეშე ფეხბურთი ისეთი პოპულარული არ იქნებოდა, როგორიც ამჟამად არის — ასე ფვლიან ამერიკელი გულშემატკივრები. უფრო მეტიც, მწვრთნელები და მენეჯერები ყოველნაირად უწყობენ ხელს თამაშის ამგვარი სტილის ფართოდ დანერგვას.

საფეხბურთო ბიზნესის უხეშობა აუცილებელია — რაც მეტია სისხლი, მით მეტი მაყურებელია სტადიონზე, ძალიან ხშირად თამაში ფეხბურთელთათვის ტრაგიკულად მთავრდება. ბევრი მძიმე ტრავმას ღებულობს და მთელი ცხოვრების მანძილზე ხეიბრად რჩება. არის სიკვდილის შემთხვევებიც, მაგრამ ვერაფერი შეაჩერებს ფეხბურთის საქმოსნებს, ვინაიდან ამ თამაშს კოლოსალური შემოსავალი მოაქვს (საკდესი).

## პანორამა

### ● კალათბურთი

**გუშინწინ** ტალინში დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები იმ გუნდების მონაწილეობით, რომლებიც IX-XII ადგილებისთვის იბრძვიან.

თბილისის დინამოელთა პირველი მეტოქე იყო მინსკის რტი, ქართველმა კალათბურთელებმა ალმაცერობით ითამაშეს და მეტოქე დაამარცხეს — 86:78 (38:36). ტალინის „კალევმა“ დაამარცხა კუიბიშევის „სტროიტელი“ — 77:52.

**გუშინ** თბილისის „დინამო“ მასპინძლებს — „კალევის“ კალათბურთელებს შეხვდა. მინიმალური სხვაობით გაიმარჯვეს ტალინელებმა — 82:81 (37:37). მინსკის რტი-მ დაამარცხა კუიბიშევის „სტროიტელი“ — 81:79.

**რიგის** ტტტ-ს კალათბურთელმა ქალებმა ანგარიშით 84:69 (48:28) დაამარცხეს ლენინგრადის „სპარტაკი“ და ექვსი ტურით ადრე გაინაღდეს სსრ კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედლები. ეს რიგელთა მე-19 გამარჯვებაა საკავშირო სარბიელზე.

### ● ჰოკეი

**ფინეთში** გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში. მესამე ტურში საბჭოთა ნაკრების მეტოქე იყო ჩეხოსლოვაკიის გუნდი, რომელიც დაწინაურდა კიდეც (3:1), მაგრამ საბჭოთა სპორტსმენებმა მაინც გაიმარჯვეს—5:3. ფინელებმა მოუგეს ამერიკელებს — 4:2, კანადისა და შვეციის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3. დასავლეთგერმანიის ჰოკეისტებმა დაამარცხეს იტალიელები —5:3. ჩემპიონატის ლიდერია საბჭოთა ნაკრები.

### ● ცხენოსნობა

**გეტებორგში** დამთავრდა ცხენოსნობაში მსოფლიო თასის გათამაშება, რომელიც ევროპისა და ამერიკის ზონებში რამდენიმე ეტაპად გაიმართა. ფინალში (წინაღობათა გადალახვა) ყველას აჯობა მელანია სმითმა (აშშ). პირველი შემთხვევაა, როცა მთავარ პრიზს ქალი დაეპატრონა.

### ● კლასიკური ჭიდაობა

**ბულგარეთის** საკურორტო ქალაქ ვარნაში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. მეორე ტურში კონტინენტის ჩემპიონმა ვ. ანიკინმა (48 კგ) დაამარცხა ს. ბორუ (თურქეთი), ვ. ფომინმა (57) — ა. კალტაბიანო (იტალია), მსოფლიოს ჩემპიონმა გ. ერმილოვმა (68) — პ. ტრეტნერი (გდრ), ა. ქანიმოვმა (82) — კ. ლოსენი (ნორვეგია), ნ. ინკოვმა (100) — რ. ვროცლავსკი (პოლონეთი).

### ● ფარიკაობა

**ოლიმპიურმა** ჩემპიონმა ვ. სმირნოვმა პირველად მოიგო მოფარიკავეთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება „კიევის რაპირა“.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-31-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია—93-97-98; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 09177